პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოდის 22-ე წელი.

№ 13 (2990) • ოთხშაბათი, 19 იანვარი, 1966 წ. • ფასი 2 კაპ.


# პრესტიჟის საქმე

როგორც წინა ნომერში ვიუწყებოდით, სსრ კავშირის ხელბურთელ ვაჟთა გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში 15 იანვარს შვერინში შეხვდა გდრ-ის ნაკრებს და საკმაოდ დიდი სხვაობით დამარცხდა — 16:24. გუშინწინ თბილისში დაბრუნდა ნაკრების წევრი ჯ. აბაიშვილი, რომელსაც ესაუბრა ჩვენი კორესპონდენტი. ვაქვეყნებთ ინტერვიუს შინაარსს.

● როგორ წარიმართა თქვენი შეხვედრა გერმანელებთან?

— სანამ შეკითხვაზე გიპასუხებდეთ, უნდა გითხრათ, რომ თვითმფრინავით ბერლინში ჩასვლის შემდეგ შვერინს ვესტუმრეთ ავტობუსით 6-საათიანი მომქანცველი მგზავრობის შემდეგ. მატჩის გამართვა ამ ქალაქში იმან განაპირობა, რომ შვერინში შესანიშნავი სპორტდარბაზია, რომელიც 5.000 მაყურებელს იტევს.

ჩვენი სასტარტო შვიდეული თავდაპირველად ასე გამოიყურებოდა: აბაიშვილი, ცერცვაძე, ფხაკაძე, ზელენოვი, უსენკო, მაზური და ზდორენკო. შემდგომ ითამაშეს აგრეთვე ცაპენკომ, ველდრემ და პეჩენინმა. თავში საქმე კარგად წაგვივიდა: ფხაკაძემ ბრწყინვალედ გაითამაშა პირველი შეტევა და გახსნა ანგარიში — 1:0. მაგრამ შემდეგ გერმანელებმა ხელთ იგდეს მატჩის სადავეები და შეხვედრის მთელ მანძილზე ბატონობდნენ.

● როგორ თამაშობდნენ გერმანელები?

— ისინი ძალიან სწრაფად მოძრაობენ, შესანიშნავად აყენებენ ერთმაგ და ორმაგ ბლოკებს, რის შედეგადაც ჩვენს დაცვაში ქმნიდნენ ღია დერეფნებს და მიზანსაც აღწევდნენ. განსაკუთრებით მომეწონა გერმანელთა ხაზის მოთამაშეების ტაქტიკური აზროვნება. მათი მთავარი საზრუნავი იყო ინსაიდებისთვის ფართო სამოქმედო არეს შექმნა.

● მეტოქეთაგან ყველაზე უფრო ვინ მოგეწონათ?

— პაპეუში და ტიდემანი. ეს უკანასკნელი თბილისელთათვის ცნობილი ხელბურთელია. იგი გერმანელთა კერპია. ტიდემანმა ამ დღეს ჩვენს კარში 5 გოლი გაიტანა.

● რას იტყვით ჩვენს გუნდზე?

— პირდაპირ ვიტყვი, რომ ცუდად ვითამაშეთ. განსაკუთრებით მოისუსტება დაცვის ხაზი. გუნდი თამაშობდა ნელა, თანაც არ გამოგვდიოდა პირველი შეტევა: მხოლოდ I ტაიმის თავსა და ბოლოში მოხერხდა პირველი შეტევის დაგვირგვინება. ორივე გოლის ავტორი იყო ფხაკაძე. ჩვენ ძალიან დაგვეტყო ულებედივობა, რომელიც, ჩვეულებრივ, გამთამაშებლის როლში გამოდის.

● მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში რამდენი მატჩი დაგრჩათ სათამაშო?

— ორი: პირველი — ჰელსინკში, 27 თებერვალს (ფინეთის ნაკრებთან), მეორე კი თბილისში — 5 მარტს (გდრ-ის ნაკრებთან). გერმანელებს ახლა 4 ქულა და ჯგუფში I ადგილის მოპოვების უტყუარი შანსები აქვთ. ჩვენ 2 ქულა გვაქვს და II ადგილის მოპოვების შესაძლებლობა, რაც ფინალის საგზურს მოგვცემს. ფინელებთან მოგება არ უნდა გაგვიჭირდეს, გერმანელებთან განმეორებითი შეხვედრა კი უკვე პრესტიჟის საქმეა.

"ლელო" ინტერვიუ

# გალინა პროზუმენშჩიკოვას საზრუნავი

ოლიმპიური ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი გალინა პროზუმენშჩიკოვა წლეულს ამთავრებს საშუალო სკოლას. შემდგომ გეგმაშია ინსტიტუტი. მისი მასწავლებლები ამბობენ, რომ ქალიშვილი ზუსტი მეცნიერებებისადმი იჩენს მიდრეკილებას, მაგრამ თავად გალინას უფრო ჰუმანიტარული დარგი იზიდავს. მისი არჩევანი ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე შეჩერდა. გოგონამ იცის, რომ ამ ფაკულტეტზე შესვლა იოლი არ იქნება და ამიტომ ბევრს მეცადინეობს.

ჰოლანდიაში ასპარეზობის შემდეგ, სადაც გალინამ მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა 200 მეტრზე ბრასით ცურვაში, რამდენიმე ხანს იგი აღარ დადიოდა აუზზე. ახლა ოლიმპიური ჩემპიონი ისევ ძალიან ინტენსიურად ვარჯიშობს. სკოლაში იგი ორი საგნისგან გაანთავისუფლეს — საწარმოო სწავლებიდან და ფიზკულტურიდან. ამან გალინას საშუალება მისცა კვირაში ორჯერ აუზში ვარჯიში 3-დან 5 საათამდე გაახანგრძლივოს. სპორტსმენი ყოველდღიურად 4-8 კილომეტრს ცურავს.

— ვფიქრობ, რომ მოსკოვის საერთაშორისო შეჯიბრებისთვის, რომელიც მარტში გაიმართება, გალინა კარგ ფორმაში იქნება, — ამბობს ოლიმპიური ჩემპიონის აღმზრდელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ელენე ალექსეენკო — მით უმეტეს, რომ მას მოელის მრისხანე მეტოქეებთან — გრიმერთან (გდრ), ინგლისელ მიტჩელთან და ნიდერლანდელ ბიმოლდთან შეხვედრა. აგვისტოში გალინა მონაწილეობას მიიღებს 1966 წლის ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო შეჯიბრებაში — ევროპის გუნდურ პირველობაში. ხოლო სექტემბერში სსრ კავშირში პირველად ჩამოვლენ ამერიკელი მოცურავეები. ვფიქრობ, რომ აშშ-ის გუნდის შემადგენლობაში იქნება მსოფლიოს ყოფილი რეკორდსმენი კლაუდია კოლბი. გალინა პროზუმენშჩიკოვასთან მისი ორთაბრძოლა დიდ ინტერესს იწვევს.

• • •

სურათზე: გ. პროზუმენშჩიკოვა საწვრთნელი ვარჯიშის შემდეგ.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



# [illegible] საათი...

◆ ბევერვეიკი, 18 იანვარი. საბჭოთა დიდოსტატი ლ. პოლუგაევსკი და იუგოსლაველი ბ. ივკოვი ლიდერობენ აქ მიმდინარე ტრადიციული საჭადრაკო ფესტივალის მთავარ ტურნირს. 5 ტურის შემდეგ თითოეულს 3,5 ქულა აქვს.

◆ ოსლო, 18 იანვარი. აქ გამოაცხადეს, რომ მსოფლიოს ჩემპიონი ბიატლონში ნორვეგიელი უ. იორდეტი უმეთაურებს ნორვეგიის გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელიც 4-6 თებერვალს გარმიშ-პარტენკირხენში გაიმართება. მის გარდა გუნდში არის კიდევ 5 ბიატლონისტი.

◆ მელბურნი, 18 იანვარი. აქ შედგა დევისის თასის გათამაშების წილისყრა, რომლის მიხედვით საბჭოთა ჩოგბურთელების მეტოქენი პირველ მატჩში იქნებიან იტალიელი სპორტსმენები.

# გუშინ...

**ბაკურიანში** გრძელდებოდა თბილისის ზამთრის სპარტაკიადა. როგორც ვაჟები, ისე ქალები ასპარეზობდნენ გიგანტურ სლალომში. ტრასა მეტად იოლი იყო და მთლიანად შეესაბამებოდა მონაწილეთა უმრავლესობის მომზადების დონეს. ქალთა შორის გამარჯვება პირად პირველობაში მოიპოვა ნ. ომიაძემ (1 მაისის სახელობის რაიონი)—42,3, ვაჟთა შორის პირველი იყო გ. აბრამიშვილი (26 კომისრის სახელობის რაიონი) — 35,6. ასპარეზობის 2 დღის შემდეგ ლიდერობენ: I ჯგუფში — ფიზკულტურის ინსტიტუტი, II ჯგუფში — ქარხანა „ელექტროვამშენებლის" გუნდი.

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).



საქართველოს სამთო-მოთხილამურენი და ტრამპლინიდან მხტომელები კარგა ხანია ემზადებიან სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის II სპარტაკიადისთვის.

სურათზე: სპორტის ოსტატი ლ. გოგოლაძე ერთ-ერთი შეჯიბრების დროს, რომელიც ამ სამზადისის ეტაპთაგანი იყო.



ბაკურიანის სათხილამურო ბაზების ნამდვილი მშვენებაა საბაგირო გზა, რომელიც ერთმანეთთან აერთებს კოხტაგორის ქვედა და ზედა სადგურებს. წლევანდელი სეზონისთვის გზას გაუკეთდა კაპიტალური რემონტი, რამაც საგრძნობლად გაზარდა მისი გამტარუნარიანობა. სსრ კავშირის უძლიერეს სამთო-მოთხილამურეთა შეჯიბრებაზე საბაგირო გზამ გამოცდა კარგად ჩააბარა.

სურათზე: ბაკურიანის საბაგირო გზა. ფოტო მ. ზარგარიანისა.

# ...ძუ იყოს, თუნდა ხვადია?

ბაკურიანი, 18 იანვარი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). თბილისის ზამთრის სპარტაკიადა, რომელიც აქ გუშინ დაიწყო, სეზონის ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი ღონისძიებაა. ბაკურიანში საასპარეზოდ თავიანთი გუნდები მოავლინა ჩვენი დედაქალაქის 34-მა ფიზკულტურულმა კოლექტივმა. შეიძლებოდა ეს რიცხვი გაცილებით მეტი ყოფილიყო, რომ საქმეში არ ჩარეულიყო სპარტაკიადის ჩატარების მტკიცედ განსაზღვრული ვადები და ამით გამოწვეული დებულების უკულმართობა. სპარტაკიადის გასამართავად თბილისს წილად ხვდა ისეთი პერიოდი (10-20 იანვარი), როცა ყველა უმაღლეს სასწავლებელში ზამთრის სესიები მიმდინარეობს. ეს კი, ასე ვთქვათ, თითზე დაიხვიეს უმაღლესი სასწავლებლების ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრებმა და გუნდების დაკომპლექტებისათვის თავი აღარ შეიწუხეს. სწორედ ამის გამო სპარტაკიადის დაწყებამდე რამდენიმე ხნით ადრე საჭირო გახდა დებულებაში ცვლილების შეტანა.

დებულებით სპარტაკიადა ორ ჯგუფად უნდა გამართულიყო. I ჯგუფს ქმნიდნენ უმაღლესი სასწავლებლები, მეორეს — საწარმო-დაწესებულებათა კოლექტივები.

და აი, I ჯგუფი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა — გუნდი მხოლოდ ფიზკულტურის ინსტიტუტმა გამოიყვანა. ცხადია, მხოლოდ ერთი გუნდის ასპარეზობა მიზანშეუწონელი იყო. და აი, ამ სასაცილო მდგომარეობის გამოსასწორებლად მოუხდათ სასწრაფო ოპერაციის ჩატარება. ამ „სისხლის გადასხმის“ შედეგად I ჯგუფში თავი ამოყვეს ფიზკულტურის ინსტიტუტის, აგრეთვე სპორტკლუბების — „გამარჯვების“, „სინათლის“, „განთიადის“, „ფეიქრის“, ფეხსაცმლის საწარმო გაერთიანება „ისანის“ და ელმავალსაშენი ქარხნის გუნდებმა. II ჯგუფი შეადგინეს ავჭალის მუშის ქარხნის, თბილისის ქარხანა „მიკრომძრავის“, „ელექტროავტომატისა“ და სხვა 27 კოლექტივმა.

ასე იყო თუ ისე, სპარტაკიადა დაიწყო. მაგრამ, სამწუხაროდ, შეჯიბრების პირველმა დღემ სანუგეშო არაფერი მოგვიტანა. მიუხედავად იმისა, რომ ვაჟები მეტად გაიოლებულ 10-კილომეტრიან ტრასაზე ასპარეზობდნენ, უმეტესობის ფიზიკური მომზადება ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა იდგა. უფრო მეტიც: სპარტაკიადის ჩემპიონმა ნ. ბიტიუკოვამ (ფიზკულტურის ინსტიტუტი) აჩვენა ისეთი დრო — 42.20,0, რომელსაც საერთაშორისო სარბიელზე ხშირად აღწევენ .. ქალები. აი, იქნებ, ერთადერთი შემთხვევა, როცა რუსთველის აფორიზმი: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“, მამაკაცთა სქესის წარმომადგენლებს ჩრდილს აყენებს. ბიტიუკოვის მაჩვენებელი მხოლოდ II თანრიგის ნორმატივია. გამარჯვებულს 25 წამით ჩამორჩა თანაგუნდელი ზ. გულბანი. ყ. ჯიკაევმა (ფიზკულტურის ინსტიტუტი) კი 10 კილომეტრის გარბენას 45.13,0 მოანდომა (III თანრიგი).

ვაჟთა ასპარეზობაში ისეთებიც გამოვიდნენ, რომლებსაც არავითარი წვრთნა არ გაუვლიათ. ამიტომ იყო, რომ ისინი თითქმის ერთ საათს დასეირნობდნენ ბილიკზე, ან არაქათგამოცლილნი თავს ანებებდნენ რბოლას.

დაბალი მაჩვენებლების „მოპოვებაში“ ვაჟებს არც ქალები ჩამორჩნენ, მაგრამ ბრძოლის სიმწვავე მაინც იგრძნობოდა, ვინაიდან საწარმოთა კოლექტივების წარმომადგენლებს არ სურდათ უპირატესობა აქაც სტუდენტებისთვის დაეთმოთ. რაც შეეხება ძალთა შეფარდებას, იგი ქალთა შორისაც აშკარად უთანაბრო იყო. ამას ადასტურებს თუნდაც პრიზიორთა მაჩვენებლები. სპორტკლუბ „სინათლის“ გუნდის წევრმა ს. კეხბამ 5 კილომეტრის გარბენას მოანდომა 24 წუთი და 45 წამი, II პრიზიორმა ვ. გავამ (ფეხსაცმლის საწარმო გაერთიანება „ისანი“) კი — 1 წუთითა და 4 წამით მეტი. სამაგიეროდ, ისნელმა 1 წუთითა და 15 წამით აჯობა სპარტაკიადის III პრიზიორს, ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტს ფ. ოსიპოვას. ამ „ტრიოდან“ მხოლოდ გამარჯვებულმა აჩვენა II თანრიგი. ფინიშთან შემდეგ მოსულთა მაჩვენებლები კი III თანრიგის მოთხოვნებსაც ვერ აკმაყოფილებდა. როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია.

**ნ. ცნობილაძე,**
საკავშირო კატეგორიის მსაჯი, შეჯიბრების მთავარი მდივანი,
**ვ. ფანჯაკიძე,**
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

# ევროპის რეკორდები

## 1966 წლის 1 იანვრისთვის

| სახეობა | შედეგი | რეკორდსმენი | დამყარების ადგილი | დამყარების თარიღი |
|---|---|---|---|---|
| **ქ ა ლ ე ბ ი** | | | | |
| 60 მ | 7,2 | ი. ბოჩკარიოვა (სსრკ) | მოსკოვი | 28.VIII.1960 |
| | 7,2 | ი. პრესი (სსრკ) | მოსკოვი | 28.VIII.1961 |
| 100 მ | 11,1 | ე. კლობუკოვსკა (პოლონეთი) | პრაღა | 9.VII.1965 |
| | 11,1 | ი. კირშენშტეინი (პოლონეთი) | პრაღა | 9.VII.1965 |
| 200 მ | 22,7 | ი. კირშენშტეინი (პოლონეთი) | ვარშავა | 8.VIII.1965 |
| 400 მ | 52,2 | ა. პეკერი (ინგლისი) | ტოკიო | 17.X.1964 |
| 800 მ | 2.01,1 | ა. პეკერი (ინგლისი) | ტოკიო | 20.X.1964 |
| 80 მ თარჯრბენი | 10,3 | ი. პრესი (სსრკ) | თბილისი | 24.X.1965 |
| ესტაფეტა 4×100 | 43,6 | პოლონეთი (ჩეპლა, კირშენშტეინი, გორელსკა, კლობუკოვსკა) | ტოკიო | 21.X.1964 |
| ესტაფეტა 4×200 | 1.34,7 | სსრ კავშირი (ალესკეროვა, სამოტესოვა, იტკინა, პოპოვა) | მოსკოვი | 18.VIII.1963 |
| ესტაფეტა 4×800 | 6.19,2 | სსრ კავშირი (ერიკი, დმიტრიევა, სკობცოვა) | კიევი | 12.IX.1964 |
| სიგრძეზე ხტომა | 676 | მ. რენდი (ინგლისი) | ტოკიო | 14.X.1964 |
| სიმაღლეზე ხტომა | 191 | ი. ბალაში (რუმინეთი) | სოფია | 16.VII.1961 |
| ბირთვი | 18,59 | თ. პრესი (სსრკ) | კასელი | 19.IX.1965 |
| ბადრო | 59,70 | თ. პრესი (სსრკ) | მოსკოვი | 8.VIII.1965 |
| შუბი | 62,40 | ე. გორჩაკოვა (სსრკ) | ტოკიო | 16.X.1964 |
| ხუთჭიდი | 5.246 (10,7; 17,16; 163; 624; 24,7) | ი. პრესი (სსრკ) | ტოკიო | 16-17.X.1964 |
| **ვ ა ჟ ე ბ ი** | | | | |
| 100 მ | 10,0 | ა. ჰარი (გფრ) | ციურიხი | 21.VI.1960 |
| 200 მ (პირდაპირ ბილიკზე) | 20,4 | მ. გერმარი (გფრ) | კიოლნი | 31.VII.1957 |
| | 20,4 | ა. სეი (საფრანგეთი) | კიოლნი | 16.IX.1960 |
| 200 მ (მოსახვევით) | 20,4 | ს. ოტოლინა (იტალია) | საარბრიუკენი | 12.VI.1964 |
| 400 მ | 44,9 | კ. კაუფმანი (გფრ) | რომი | 6.IX.1960 |
| 800 მ | 1.45,7 | რ. მოენსი (ბელგია) | ოსლო | 3.VIII.1955 |
| 1000 მ | 2.16,2 | ი. მაი (გდრ) | ერფურტი | 20.VII.1965 |
| 1500 მ | 3.36,4 | ი. მაი (გდრ) | ერფურტი | 14.VII.1965 |
| 2000 მ | 5.01,2 | ი. ოდლოჟილი (ჩეხოსლოვაკია) | სტარი ბოლესლავი | 8.IX.1965 |
| 3000 მ | 7.46,0 | ზ. ჰერმანი (გდრ) | ერფურტი | 5.VIII.1965 |
| 5000 მ | 13.27,6 | მ. ჟაზი (საფრანგეთი) | ჰელსინკი | 30.VI.1965 |
| 10000 მ | 28.10,6 | გ. რულანტსი (ბელგია) | ოსლო | 21.VIII.1965 |
| 20000 მ | 59.51,6 | ე. ზატოპეკი (ჩეხოსლოვაკია) | სტარი ბოლესლავი | 29.IX.1951 |
| 25000 მ | 1:15.22,6 | რ. ჰილი (ინგლისი) | ბოლტონი | 22.VII.1965 |
| 30000 მ | 1:32.34,6 | ტ. ჯონსტონი (ინგლისი) | უოლტონი | 16.X.1965 |
| 1-საათიანი რბენა | 20 კმ, 52 მ | ე. ზატოპეკი (ჩეხოსლოვაკია) | სტარი ბოლესლავი | 28.IX.1951 |
| 110 მ თარჯრბენი | 13,2 | მ. ლაუერი (გფრ) | ციურიხი | 7.VII.1959 |
| 200 მ თარჯრბენი | 22,5 | მ. ლაუერი (გფრ) | ციურიხი | 7.VII.1959 |
| 400 მ თარჯრბენი | 49,2 | ს. მორალე (იტალია) | ბელგრადი | 14.IX.1962 |
| 3000 მ წინაღობებით | 8.26,4 | გ. რულანტსი (ბელგია) | ბრიუსელი | 7.VIII.1965 |
| ესტაფეტა 4×100 | 39,2 | საფრანგეთი (ეპნევე, ლაიდებირი, ბრიუტნერი, დელეკური) | ანესი | 18.VII.1964 |
| | 39,2 | პოლონეთი (ზელინსკი, მანიაკი, რომანოვსკი, ძუძიაკი) | ვარშავა | 7.VIII.1965 |
| | 39,2 | სსრ კავშირი (ოზოლინი, ტუიაკოვი, სავჩუკი, პოლიტიკო) | პარიზი | 2.X.1965 |
| ესტაფეტა 4×200 | 1.22,6 | სსრ კავშირი (ოზოლინი, ზუბოვი, სავჩუკი, პოლიტიკო) | კიევი | 12.IX.1964 |
| ესტაფეტა 4×400 | 3.01,6 | ინგლისი (გრაჰამი, მეტკალფი, კუპერი, ბრაიტუელი) | ტოკიო | 21.X.1964 |
| ესტაფეტა 4×800 | 7.15,8 | ბელგია (ბაილი, ლანჟენუ, ლევა, მოენსი) | ბრიუსელი | 8.VIII.1956 |
| ესტაფეტა 4×1500 | 14.49,0 | საფრანგეთი (ვერვუერტი, ნიკოლა, ჟაზი, ვადუ) | პარიზი | 25.VI.1965 |
| 100 იარდი | 9,4 | ა. ჰარი (გფრ) | ლევერკუზენი | 31.V.1959 |
| 220 იარდი | 20,5 | პ. რედფორდი (ინგლისი) | ვულვერჰემპტონი | 28.V.1960 |
| 440 იარდი | 45,9 | რ. ბრაიტუელი (ინგლისი) | ლონდონი | 14.VII.1962 |
| 880 იარდი | 1.47,5 | ნ. კაროლი (ირლანდია) | ლოს-ანჟელოსი | 17.V.1963 |
| 1 მილი | 3.53,6 | მ. ჟაზი (საფრანგეთი) | რენი | 9.VI.1965 |
| 2 მილი | 8.22,6 | მ. ჟაზი (საფრანგეთი) | მელუნი | 23.VI.1965 |
| 3 მილი | 13.04,8 | მ. ჟაზი (საფრანგეთი) | ჰელსინკი | 30.VI.1965 |
| 6 მილი | 27.26,6 | მ. ბულივანტი (ინგლისი) | ლონდონი | 10.VII.1964 |
| 10 მილი | 47.26,8 | მ. ბეტი (ინგლისი) | ჰურლინგჰემი | 11.IV.1964 |
| 15 მილი | 1:12.48,2 | რ. ჰილი (ინგლისი) | ბოლტონი | 22.VII.1965 |
| სიგრძეზე ხტომა | 831 | ი. ტერ-ოვანესიანი (სსრკ) | ერევანი | 10.VI.1962 |
| სიმაღლეზე ხტომა | 228 | ვ. ბრუმელი (სსრკ) | მოსკოვი | 21.VII.1963 |
| ჭოკით ხტომა | 515 | მ. პრეისგერი (გდრ) | ლაიპციგი | 27.VIII.1964 |
| სამხტომი | 17,03 | ი. შმიდტი (პოლონეთი) | ოლშტინი | 5.VIII.1960 |
| ბირთვი | 19,57 | ა. როუ (ინგლისი) | მანსფილდი | 7.VIII.1961 |
| ბადრო | 65,22 | ლ. დანეკი (ჩეხოსლოვაკია) | სოკოლოვო | 12.X.1965 |
| შუბი | 91,72 | ტ. პედერსენი (ნორვეგია) | ოსლო | 2.IX.1964 |
| ურო | 73,74 | დ. ჟივოცკი (უნგრეთი) | დებრეცენი | 5.IX.1965 |
| სპორტული სიარული (სტადიონზე) | | | | |
| 20 კმ | 1:27.05,0 | ვ. გოლუბნიჩი (სსრკ) | სიმფეროპოლი | 23.IX.1958 |
| 50 კმ | 4:10.51,8 | ქ. ჰონე (გდრ) | პოტსდამი | 16.V.1965 |
| ათჭიდი | 7.968 (10,7; 701; 15,04; 180; 50,3; 15,2; 47,18; 430; 72,79; 4.34,3) | ი. კუტენკო (სსრკ) | კიევი | 5-6.IX.1961 |

# მოსწავლეთა საკავშირო...

## ჭ ა დ რ ა კ ი

მოსკოვში დამთავრდა ნორჩ მოჭადრაკეთა საკავშირო ასპარეზობა, რომელიც შვეიცარიული სისტემით ჩატარდა. ტურნირში მონაწილეობდა 32 ჭაბუკი და 22 გოგონა.

დიდი წარმატება მოიპოვეს უკრაინის ნორჩმა მოჭადრაკეებმა. ვაჟთა ასპარეზობაში 14 წლის მ. შტეინბერგმა 7 ქულით (9-დან) I-II ადგილები გაიყო მოსკოველ ვ. ლილეინთან. მეტი გამარჯვების გამო I ადგილი მიენიჭა შტეინბერგს, რომელსაც მიეცა სსრ კავშირის ვაჟთა 34-ე ჩემპიონატის ნახევარფინალში მონაწილეობის უფლება.

გოგონებში პირველობა დაისაკუთრა უკრაინელმა მოსწავლემ ი. სპივაკმა (7 ქულა 9-დან).

ჭაბუკთა ტურნირში მონაწილეობდა ჩვენი რესპუბლიკის 3 წარმომადგენელი: ოსტატობის კანდიდატი გ. ციხელაშვილი და პირველთანრიგოსნები ე. უბილავა და ს. ჩეჩელიანი. უკეთეს შედეგს მიაღწია 15 წლის უბილავამ (5 ქულა 9-დან). ამასთან აღსანიშნავია, რომ ელიზბარის მიღწევა შეიძლება უკეთესიც ყოფილიყო. სამწუხაროდ, ბოლო ტურის შეხვედრაში მას შესანიშნავი პოზიცია ჰქონდა ბელორუსიელ ოსტატობის კანდიდატ ი. დიდიშკოსთან (მინსკის ჩემპიონი ვაჟთა შორის). უბილავამ ვერ გამოიყენა ნაღდი უპირატესობა, უფრო მეტიც, წააგო ეს პარტია. გამარჯვების შემთხვევაში კი ელიზბარი ასრულებდა ოსტატობის კანდიდატის ნორმას.

ვერც გ. ციხელაშვილმა და ს. ჩეჩელიანმა გამოიყენეს თავიანთი შესაძლებლობანი ცალკეულ პარტიებში. ამის შედეგად გ. ციხელაშვილმა მხოლოდ 4,5 ქულა მოაგროვა, ხოლო ს. ჩეჩელიანმა — 4.

თუმცა საქართველოს ნორჩი მოჭადრაკეები ვერ გავიდნენ გამარჯვებულთა ხუთეულში, მაგრამ ტურნირმა გვაჩვენა, რომ მათი კლასი არ ჩამოუვარდება უძლიერესი მოსწავლეების თამაშის დონეს და უახლოეს მომავალში მათგან მაღალ შედეგებს უნდა ველოდოთ. მოვაგონებთ, რომ ციხელაშვილმა, უბილავამ და ჩეჩელიანმა მოიპოვეს თბილისის ვაჟთა ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობის უფლება. ეს ასპარეზობა კი მათთვის უდავოდ შესანიშნავი სკოლა იქნება.

14 წლის ნინო ხუბულური აგრეთვე საშუალო ადგილზე აღმოჩნდა სატურნირო ცხრილში (4,5 ქულა 9-დან). თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ნიჭიერი გოგონა პირველად მონაწილეობდა ესოდენ საპასუხისმგებლო ასპარეზობაში, მისი შედეგი დამაკმაყოფილებლად უნდა მივიჩნიოთ.

**ა. ბუსლაევი,**
სპორტის ოსტატი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

მოსკოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა




# სავიზიტო ბარათები

მასპინძელი — ინგლისის ნაკრები, VIII ჩემპიონატის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად ითვლება.

გუნდს 1962 წლის დეკემბრიდან წვრთნის ალფრედ (ალფ) რამსეი, რომელიც ადრე თვით იყო ნაკრების მოთამაშე. როგორც მწვრთნელმა, მან ყურადღება მიიქცია „იპსვიჩ-ტაუნში", რომელიც 2 წლის მანძილზე III ლიგიდან პირველში გადაიყვანა და, რაც არნახული ამბავია საერთაშორისო ფეხბურთში, პირველივე წელს ინგლისის ჩემპიონი გახადა.

მსოფლიოს პირველ სამ ჩემპიონატში ინგლისელები არ მონაწილეობდნენ. IV ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებში მათ სძლიეს შოტლანდიას (1:0), უელსს (4:1) და ჩრდილოეთ ირლანდიას (9:2), მაგრამ მარცხი განიცადეს ფინალში. აქ ინგლისელებმა წააგეს აშშ-ის გუნდთან (!) — 0:1, ასეთივე ანგარიშით დამარცხდნენ ესპანელებთანაც და მოუგეს მხოლოდ ჩილიელებს (2:0).

V ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებში ინგლისელები ისევ I ადგილზე გავიდნენ. მათ დაამარცხეს უელსი (4:1), ჩრდილოეთ ირლანდია (3:1) და შოტლანდია (3:2). ფინალური მატჩები ინგლისელებმა ასევე წარმატებით დაიწყეს: მოუგეს შვეიცარიას (2:0) და ფრედ ითამაშეს ბელგიასთან (4:4), რის შემდეგ გავიდნენ მეოთხედფინალში. აქ კი მათ ფარხმალი დაყარეს მაშინდელ მსოფლიო ჩემპიონებთან — ურუგვაელებთან (2:4).

VI ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობის უფლება ინგლისელებმა მოიპოვეს დანიელებთან (5:1, 4:1) და ირლანდიელებთან (5:1, 1:1) ბრძოლაში. ფინალში ინგლისელები მოხვდნენ ძალზე რთულ, IV ჯგუფში (ბრაზილია, სსრ კავშირი, ავსტრია) და ფრედ დაამთავრეს სამივე შეხვედრა — სსრ კავშირთან 2:2, ბრაზილიასთან 0:0 და ავსტრიასთან 2:2. ვინაიდან სსრ კავშირისა და ინგლისის გუნდებმა 3-3 ქულა დააგროვეს, დაინიშნა დამატებითი შეხვედრა მეოთხედფინალში გასვლისთვის, რომელიც ინგლისელებმა წააგეს — 0:1.

VII ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ინგლისელებმა გზიდან ჩამოიცილეს პორტუგალია (1:1, 2:0) და ლუქსემბურგი (4:1, 9:0). ჩილიში ისინი მოხვდნენ IV ჯგუფში (უნგრეთი, არგენტინა, ბულგარეთი), სძლიეს არგენტინას (3:1), წააგეს უნგრელებთან (1:2) და ფრედ (0:0) ითამაშეს ბულგარელებთან. ინგლისელებმა მოიპოვეს მეოთხედფინალში თამაშის უფლება, მაგრამ აქ ისევ მარცხი იწვნიეს, ამჯერად ბრაზილიელებთან — 1:3. ამ მარცხს მსოფლიო ჩემპიონატში მოჰყვა მწვრთნელ უ. უინტერბოტომის გადაყენება.

აი, ინგლისის ახლანდელი ნაკრების ძირითადი კანდიდატები: მეკარე ბენქსი, მას იშვიათ შემთხვევაში ცვლიან უაიტერსი და სპრინჯეტი. დაცვა და ნახევარდაცვა ძირითადად სტაბილიზებულია. აქ სისტემატურად თამაშობენ კოენი, უილსონი, სტაილსი, ჯ. ჩარლტონი, მური, ხანდახან — მილნი და ნორმანი. თავდასხმის საკითხი კვლავ ბუნდოვანია, ვინაიდან რამსეი განაგრძობს ექსპერიმენტებს. აქ ძირითად კანდიდატებად ითვლებიან ბოლი, პეინი, ბირნი, ბეიკერი, გრივსი, ბ. ჩარლტონი, ისტჰემი, ტომპსონი, კონელი, ჰანტი. განთქმული ინგლისელი „სნაიპერი" გრივსი კარგა ხანია აღარ გამოდის ნაკრებში ავადმყოფობის გამო. იგი მოგვიანებით შეუდგება ვარჯიშს.



შეიძლება ითქვას, რომ ფეხბურთის სამშობლოში — ინგლისში ჯერ არ გამოუჩენიათ ისეთი ყურადღება მსოფლიო ჩემპიონატისადმი, როგორც ახლა. მასპინძელთათვის ეს ამჟამად პრესტიჟის საქმეა.

სურათზე: ინგლისის ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ა. რამსეი მორიგ ვარჯიშზე თავისი გუნდის წევრებთან. მარცხნიდან მარჯვნივ — რ. ჩარლტონი, ტ. პეინი, ნ. სტაილსი, ნაკრების კაპიტანი ბ. მური და ჯ. კოენი.

ფოტო ჟურნალ „სტადიონისა". (ჩეხოსლოვაკია).

# დიდი გზა

**სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ფიოდოროვი 80 წლისაა**

ანატოლი ფიოდოროვი თბილისში დაიბადა, 1885 წელს. მაგრამ შემდეგ, ბავშვობიდანვე, მისი ცხოვრების გზა ასცდა საქართველოს ფარგლებს: საშუალო განათლება ნიჟნი-ნოვგოროდში მიიღო, სამხედრო სასწავლებელი პეტერბურგში დაამთავრა, სამსახურს თურქეთის საზღვართან, ყარსის ოლქში გადიოდა, ხოლო შემდეგ იმპერიალისტურმა ომმა ათასობით სხვა ახალგაზრდასთან ერთად ფრონტზე ამოაყოფინა თავი.

მაგრამ სიჭაბუკის წლებიდანვე ამ ჩახლართულ გზაზე ა. ფიოდოროვი თავისი მშობლიური ქალაქიდან შორს მაინც გადაეყარა ჩვენს ერთ-ერთ თანამემამულეს, რომელმაც მნიშვნელოვანი კვალი გაავლო მის ცხოვრებაზე.

— პეტერბურგში სწავლისას, — იგონებს მხცოვანი სპორტსმენი, — მთავარ სატანვარჯიშო-საფარიკაო სკოლაში აღმზრდელთა საოცრად „ინტერნაციონალური" ჯგუფი მყავდა: იტალიელი კიავერი, ფრანგი ტერნანი, ჩეხი ერპენი,



უკრაინელი ზაკთვროტი, რუსი აგაფონოვი... მაგრამ მათგან ყველაზე უფრო კოლორიტული ფიგურა, ყველაზე უფრო საყვარელი მასწავლებელი იყო წარმოსადეგი, ახოვანი ვაჟკაცი, ჩვენებური ჯაფარიძე...

ტანვარჯიშის მასწავლებელმა არა მარტო ამ სახეობის, არამედ, საერთოდ, სპორტისადმი უსაზღვრო სიყვარული ჩაუნერგა თავის მოსწავლეებს, მათ შორის — ა. ფიოდოროვსაც.

გავიდა ხანი, საკმაოდ დიდი, და ანატოლიმ ღირსეულად, თავისებურად გადაუხადა ვალი შორეული პეტერბურგის წლების ქართველ აღმზრდელს: იგი მაინც დაუბრუნდა თბილისს, დაუბრუნდა იმპერიალისტური ომის, რევოლუციისა და სამოქალაქო ომის ცეცხლს გამოვლილი, საბოლოოდ დაფუძნდა აქ, ახალგაზრდა სპორტსმენთა წვრთნას მიჰყო ხელი და ჩვენს რესპუბლიკას ფარიკაობის ისეთი ოსტატები აღუზარდა, როგორებიც, მაგალითად, არიან რ. ცირეკიძე, ი. ოსიპოვი, ხ. ანდრიაძე და მრავალი სხვა. მეტიც: ახალგაზრდა ტალანტების აღზრდისთვის, ჩვენს რესპუბლიკაში ბავშვთა და ჭაბუკთა შორის ფარიკაობის პოპულარიზაციისა და დანერგვის მიზნით გაწეული ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის 1957 წელს ა. ფიოდოროვს სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის მაღალი წოდება მიენიჭა.

მართლაც და მნიშვნელოვანია ამ ამაგდარი სპორტსმენის ღვაწლი ჩვენს რესპუბლიკაში მთელი რიგი სპორტული სახეობების, განსაკუთრებით კი ფარიკაობის განვითარებაში. ა. ფიოდოროვს მუდამ ვხვდებოდით ახალ, ძნელ საქმესთან შეჭიდებულთა მოწინავე რიგებში. 1921 წელს იგი საქართველოს სამხედრო-სპორტული სკოლის ფარიკაობის მასწავლებლად დანიშნეს; 1924 წელს დააკისრეს უმაღლეს სასწავლებლებში სპორტული მუშაობის წარმოება; შემდეგ, 1927 წლამდე, ა. ფიოდოროვი მესაზღვრეთა შორის ნერგავდა ტანვარჯიშს, მძლეოსნობას, ჭიდაობას, ფარიკაობას, კრივს, სასროლო სპორტს, ხიშტით ბრძოლას და ხელმძღვანელობდა ფიზკულტურულ მომზადებას; თავისი წვლილი შეჰქონდა საშუალო სკოლის მოსწავლეთა შორის ფიზიკური კულტურისა და სპორტული სექციური მუშაობის დანერგვაში: 1932 წლიდან მუშაობდა სასროლო სპორტის კომიტეტის პასუხისმგებელ მდივნად და ფიზკულტურის ინსტრუქტორად; 1935 წლიდან — საქართველოს პოლიტექნიკური და თეატრალური ინსტიტუტების და, პარალელურად, ბავშვთა სპორტსკოლის ფარიკაობის მასწავლებლად...

55 წლისას მოუსწრო ანატოლი ფიოდოროვს სამამულო ომის მრისხანე ქარცეცხლმა და ისიც უყოყმანოდ ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში, გმირ საზღვაო არტილერისტებს შორის; მტრის დამარცხების შემდეგ კი კვლავ დაუბრუნდა საყვარელ საქმეს, რომელიც მისი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა.

ა. ფიოდოროვს, სპორტის უკვე ხანდაზმულ, დამსახურებულ მოღვაწეს, ომისშემდგომ წლებში კვლავ ვხედავთ ჩვენი რესპუბლიკის სპორტული მომავლის დაუცხრომელ მჭედელთა შორის — ფიზკულტურის ინსტიტუტის კათედრის გამგედ, თეატრალური ინსტიტუტისა და ბავშვთა სპორტსკოლის უფროს მწვრთნელად ფარიკაობაში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ღვაწლმოსილი მწვრთნელის ნაყოფიერი საქმიანობა ბავშვთა შორის. ა. ფიოდოროვის მოწაფეებმა — საქართველოს ნორჩმა მოფარიკავეებმა, რომლებიც 1948 წლიდან დღემდე უცვლელად მონაწილეობენ საკავშირო შეჯიბრებებში, 32 საპრიზო ადგილი დაიკავეს (ორჯერ — I, თცდარვაჯერ — II და ორჯერ — III); შედარებისთვის აღვნიშნავთ, რომ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი საფარიკაო ცენტრის — მოსკოვის მოსწავლეებმა ამ ხნის მანძილზე მხოლოდ 18 საპრიზო ადგილის დაკავება შეძლეს. ჩვენი სკოლების მოფარიკავეთა ამ „არმიიდან" წამოვიდნენ სწორედ შემდგომ ოლიმპიურ, საერთაშორისო თუ საკავშირო ასპარეზებზე გასული „გვარდიელები" — ნ. ასათიანი, გ. კოსტავა, ი. ოსიპოვი, რ. ცირეკიძე, კ. და ა. გოგელიები, ნ. ანდრიაძე და მრავალი სხვ.

აი, სწორედ ამ შინაარსიანი, შემოქმედებითი შრომით აღსავსე ცხოვრებისეული გზისთვის სცემს ასეთ დიდ პატივს დღეს უკვე 80 წლის მხცოვან პედაგოგსა და მოღვაწეს მთელი ჩვენი სპორტული საზოგადოებრიობა. აი, სწორედ ამიტომ მიულოცავენ მას ასე გულთბილად სახელოვან, დამსახურებულ საიუბილეო თარიღს.

**შ. ჯულელი.**

სურათზე: ა. ფიოდოროვი.
ფოტო მ. ზარგარიანისა.

# ვთქვათ, ასე მოხდა...

რედაქციაში შემოვიდა წერილი რუსთავიდან, რომლის ავტორი ი. ბუიშვილი ერთგვარ გაუგებრობას გამოთქვამს საკონკურსო პირობების თაობაზე. ანალოგიური შეკითხვით მოგვმართეს ფეხბურთის სხვა მოყვარულებმაც, რომლებსაც სურთ მონაწილეობა მიიღონ „ჟიულ რიმეს თასის" კონკურსში.

ძირითად გაუგებრობას წარმოადგენს დებულების პუნქტი ნახევარფინალური წყვილების შედგენის თაობაზე, რომ: პირველი მეოთხედფინალის გამარჯვებული ხვდება მესამე მეოთხედფინალის გამარჯვებულს, ხოლო მეორე მეოთხედფინალური მატჩის მომგები — მეოთხე მეოთხედფინალის მომგებს.

აქ, თითქოს, ყველაფერი ნათელია. მაგრამ უმჯობესია, მისი განმარტება მოვახდინოთ თვით ი. ბუიშვილის მიერ მოყვანილ კონკრეტულ მაგალითზე. დავალაგოთ გამარჯვებული გუნდები იმ თანმიმდევრობით, როგორსაც იგი გვთავაზობს.

| | | |
|---|---|---|
| I ჯგუფი: | 1. ინგლისი, | 2. საფრანგეთი. |
| II ჯგუფი: | 1. გფრ, | 2. ესპანეთი. |
| III ჯგუფი: | 1. ბრაზილია, | 2. უნგრეთი. |
| IV ჯგუფი: | 1. სსრ კავშირი, | 2. ჩილი. |

ვთქვათ, ყველაფერი ასე მოხდა. შევახვედროთ მეოთხედფინალის მონაწილეები ერთმანეთს წესის მიხედვით:

ინგლისი — ესპანეთი,

გფრ — საფრანგეთი,

ბრაზილია — ჩილი,

სსრ კავშირი — უნგრეთი.

აქ უკვე აღარა აქვს მნიშვნელობა, თუ ვინ რომელი ჯგუფის წარმომადგენელია — პირველის თუ მეხამისა, ვინაიდან ეს უკვე გათამაშების ახალი ეტაპია — მეოთხედფინალი. დებულება ამბობს: პირველი მეოთხედფინალის გამარჯვებული ხვდება მესამე მეოთხედფინალის გამარჯვებულს, ხოლო მეორე-სი — მეოთხეს. დანარჩენები, ე. ი. დამარცხებულნი, ტოვებენ გათამაშებას და უკეთეს შემთხვევაში ადგილებს იკავებენ ტრიბუნებზე.

მივყვეთ ჩვენს „შეჯიბრებას". ინგლისმა, დავუშვათ, დაამარცხა ესპანეთი, გფრ-მ — საფრანგეთი, ბრაზილიამ — ჩილი, სსრ კავშირმა — უნგრეთი. დავაწყვილოთ გამარჯვებულნი:

ინგლისი — ბრაზილია.

გფრ — სსრ კავშირი.

დანარჩენი, ვფიქრობთ, აღარ საჭიროებს განმარტებას: ნახევარფინალებში გამარჯვებულები ერთმანეთს ხვდებიან ფინალში, ხოლო დამარცხებულნი გაითამაშებენ III-IV ადგილებს.

კენჭისყრის დროს ფიფა-ს საორგანიზაციო კომიტეტმა გაითვალისწინა ის, რომ მსოფლიო ჩემპიონი — ბრაზილია და მასპინძელი — ინგლისი, არ შეხვედროდნენ ერთმანეთს ნახევარფინალამდე. ეს ასეცაა, მაგრამ ჩვენს მიერ მოყვანილ მაგალითში გათამაშების ფავორიტებმა ვერ მიაღწიეს ფინალს და ერთმანეთს შეხვდნენ ნახევარფინალში. ამიტომ, ვინც თავის საკონკურსო წერილში ბრაზილიას და ინგლისს ერთმანეთს ახვედრებს ფინალში, ყველა შესაძლო ვარიანტი უნდა გაითვალისწინოს შეჯიბრების ადრეულ ეტაპებზე.

## ჩვენი კონკურსის მონაწილეთა დასახმარებლად

## ვინ შეარჩევს მსაჯებს?

თვითეულმა ეროვნულმა ფედერაციამ ფიფა-ს უნდა წარუდგინოს მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის მსაჯობის კანდიდატთა სია. მას განიხილავს სპეციალური კომისია, რომლის თავმჯდომარეა ფიფა-ს პრეზიდენტი ს. როუზი.

აი, ამ კომისიის წევრები: ლატიშევი (სსრ კავშირი), ანდრეევიჩი (იუგოსლავია), ლინდბერგი (შვეიცარია), ალვარესი (არგენტინა), ბრომი (შვეცია), კოევე ტაიკი (მალაიზია), ესკარტინი (ესპანეთი).

• • •

ლონდონი. ფიფა-ს სამდივნომ განაცხადა, რომ 18-20 თებერვალს გამოაქვეყნებს იმ მსაჯთა სიას, რომლებიც მოემსახურებიან მსოფლიო ჩემპიონატს.

# ვეტერანი მოგვითხრობს

ჩოგბურთის მოყვარულები კარგად იცნობენ უძლიერესი სპორტსმენების — თ. ლეჟავას, ა. მეტრეველის, ს. ლიხაჩოვის, ა. პოტანინის, მ. მოზერისა და სხვათა სახელებს.

ჩოგბურთის ძველი თაობის მოყვარულებს კი კარგად ახსოვთ ორმოცდაათიანი წლების ჩემპიონები: ნ. ოზეროვი, ს. ანდრეევი და ე. ნეგრებეცკი. მაგრამ

„ლელოს" ინტერვიუ

ბევრმა არ იცის, რომ ერთ-ერთმა მათგანმა, სსრ კავშირის ჩემპიონმა ერთეულთა და წყვილთა კატეგორიებში, წლების მანძილზე დაუმარცხებელი ოზეროვის მძლევმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ედუარდ ედუარდის ძე ნეგრებეცკიმ სპორტულ წარმატებათა კიბის პირველი საფეხურები თბილისში გაიარა.

ე. ნეგრებეცკიმ „ლელოს" მკითხველთათვის საქართველოში ჩოგბურთის დანერგვის თაობაზე მოგონებები გაგვიზიარა, მოგვითხრო საქართველოს ჩოგბურთელთა პირველ მორიდებულ ნაბიჯებზე და პირველ წარმატებებზე.

— ჩოგბურთის თამაში, — იგონებს ვეტერანი, — 12 წლისამ დავიწყე. 1920 წელი იყო. ჩემი აივნიდან რომ გადაიხედავდით, სავორგოლაჭო საციგურაო მოგხვდებოდათ თვალში. გორგოლაჭით მოციგურეთა კლუბის წევრები ამ საციგურაოზე ხშირად ჩოგბურთსაც თამაშობდნენ. აივნიდან საათობით გადავცქეროდი მათ თამაშს და ბოლოს სპორტის ეს წარმტაცი სახეობა ჩემი ცხოვრების თანამგზავრი გახდა. ახლა ყოფილ საციგურაოზე ჩოგბურთის კეთილმოწყობილი კორტებია, წინათ კი უბრალო მოასფალტებული მოედნები იყო. ბიჭუნებს მაშინ იქ თამაშის უფლებას არ გვაძლევდნენ, მაგრამ როცა მოზრდილებისთვის ბურთის მიწოდების ნებას დაგვრთავდნენ, ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ისე კი, ჩვენც გვქონდა საკუთარი „კორტი": ახლანდელ 25 თებერვლის ქუჩასთან მდებარე პატარა მინდორზე ხის თვითნაკეთი ჩოგნებით ვთამაშობდით. ბადეები და ბურთები არ გაგვაჩნდა და მათ ნაცვლად ათასგვარ... ფანტაზიას ვიყენებდით. 1922 წელს კი მე და რამდენიმე ამხანაგს ჩოგბურთელთა კლუბის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ნამდვილ კორტებზე თამაშის უფლება მოგვცა.

ჩემთან ერთად კორტზე ფეხი შემოდგეს ი. გომერმა და თამარ გოგოლაურმა. ამ უკანასკნელმა 1928 წელს ამიერკავკასიის ჩემპიონობა მოიხვეჭა. მაშინ ჩოგბურთის თამაში დაიწყო აგრეთვე ა. ხანგულიანმა, ამჟამად ა. მეტრეველის მწვრთნელმა. მოგვიანებით კი ამ კორტებზე აღიზარდა კიდევ ერთი სახელმოხვეჭილი ჩოგბურთელი ქალი — ი. რიაზანოვა.

1927 წელს ჩვენს კორტებზე ამიერკავკასიის პირველობა გათამაშდა. ფინალში ჩოგანი „გადავაჭდე" ბაქოელ დანილოვთან და დაძაბულ ბრძოლაში გავიმარჯვე. ეს იყო ჩემი პირველი დიდი წარმატება.

1928 წელს ამიერკავკასიის ნაკრებმა, რომელშიც მეც და თ. გოგოლაურიც შევდიოდით, მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის I სპარტაკიადაში. მოსკოვში ჩვენმა გამოსვლამ სენსაცია მოახდინა. სპეციალისტებისთვის სიურპრიზს წარმოადგენდა ჩვენი გუნდის გამარჯვებები უკრაინისა და ბელორუსიის ძლიერ კოლექტივებთან შეხვედრებში. ამის შემდეგ გავედით ფინალში და მხოლოდ ამ ეტაპზე დავმარცხდით (მოსკოვის ნაკრებთან). მაყურებლებისა და სპეციალისტებისთვის სიახლეს წარმოადგენდა საქართველოს სპორტსმენების თამაშის ერთობ აგრესიული სტილი და კორტზე სწრაფად გადაადგილების მანერა.

1931 წელს დიდ შესარჩევ შეჯიბრებაში მხვდა წარმატება. ეს ასპარეზობა წინ უსწრებდა ე. წ. „ბერლინის სპარტაკიადას", რომელშიც სხვადასხვა მიზეზით სსრ კავშირის გუნდს მონაწილეობა არ მიუღია.

ამავე წელს ოჯახთან ერთად საცხოვრებლად ლენინგრადს გადავედი. სინანულით ვშორდებოდი მშობლიურ თბილისს, სადაც ჩოგბურთის პირველი გაკვეთილები მივიღე და შემდგომი წარმატებების საფუძველი შემიმზადდა.

ახლა კი მინდა რამდენიმე სიტყვა გითხრათ საქართველოს დღევანდელ ჩოგბურთზე და, პირველ რიგში, ალექსანდრე მეტრეველზე... ამ ჭაბუკის თამაში ხშირად მინახავს. მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ იგი გამოჩენილი სპორტსმენია. მეტრეველის მრავალმხრივი ტალანტი გაოცებას იწვევს. მისი ტექნიკური არსენალი მეტად მდიდარია. იგი თამაშობს თანამედროვე, შემტევი სტილით. მაგრამ რა უშლის ხელს მის შემდგომ ზრდას? [illegible] დაცვაში [illegible] ფილი თამაში. [illegible] უმთავრესი ამოცანაა შეავსოს დაცვაში თამაშის ტექნიკური არსენალი. ისიც მინდა შევნიშნო, რომ მას დროდადრო ზედმეტად იტაცებს ტემპერამენტი და გაუმართლებელ აზარტულობას იჩენს.

და თუ მეტრეველი ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას შეძლებს, წარმატებათა ისეთ სიმაღლეებს მიაღწევს, როგორზეც ჯერ არც ერთი საბჭოთა ჩოგბურთელი არ ასულა.

— ასეთ შემთხვევაში, — ხუმრობს ე. ნეგრებეცკი, — ალექსანდრე ჩვენი ქვეყნის საუკეთესოთა ათეულში თვით ომარ ფხაკაძესაც შეავიწროებს.

ვეტერანმა თავისი ინტერვიუ ასე დაამთავრა:

— ჩემი დიდი სურვილია, საქართველომ რაც შეიძლება მეტი მოავლინოს მეტრეველისებური ჩოგბურთელი. ამ მზიურ მხარეში ჩოგბურთის მასობრივი განვითარების ყველა პირობაა. ჯერჯერობით კი, სამწუხაროდ, დიდ იმედებს მხოლოდ ერთი ახალგაზრდა სპორტსმენი — თ. კაკულია იძლევა.

ა. გელერი,
სპორტის ოსტატი.
(ჩვენი კორ.).

ლენინგრადი.







პოლინეზიის არქიპელაგზე, ახალი კალედონიის საკმაო დაცილებით არის პატარა კლდიანი მაღლარი. ამ მოუსავლიან ადგილას 250 კაცი ცხოვრობს, რომელთა ძირითადი საქმიანობაა ზვიგენებზე ნადირობა. თანაც ისინი ამ სახიფათო საქმეს ეწევიან პრიმიტიული შუბებით. მონადირეებს არაჩვეულებრივი ფიზიკური ძალა და გამჭრიახი, ზუსტი თვალი აქვთ.

ზღვის მტაცებლებზე მონადირეთა საქმიანობით დაინტერესდნენ ფრანგი კინოშემქმნელები, რომლებმაც ამ თემაზე შექმნეს კიდეც ფერადი ფილმი „რგოლი და ჯაჭვი".

სურათებზე თქვენ ხედავთ ამ საინტერესო ნადირობის მომენტებს.

ფოტო ჟურნალ „სპორტოვეცისა" (პოლონეთი).

## ქვეყნები ● ჩემპიონატები მატჩები

### ჰოლანდია

ამ ქვეყნის ეროვნულ ჩემპიონატში შედგა ცენტრალური მატჩი „აიაქსი" — „ფეიენოორდი", რომელიც დამთავრდა ფრედ — 1:1. ამ შეხვედრის შემდეგ „აიაქსს" აქვს 24 ქულა და დამაჯერებლად ლიდერობს გათამაშებას. „ფეიენოორდი" მას ჩამორჩება 6 ქულით, თუმცა თადარიგში აქვს 1 თამაში.

### ირლანდია

20 ქულა აქვს ჩემპიონატის ლიდერს „შემროკ როვერსს". მისი უახლოესი კონკურენტები — „ბოჰემიენსი" და „სლიგო როვერსი" ჩამორჩენილი არიან 5-5 ქულით.

### ბელგია

საუკეთესო ფორმაში იმყოფებიან ამ ქვეყნის უძლიერესი გუნდები — „ანდერლეხტი" და „სენტ-ტრონდი". 15 ტურის შემდეგ მათ აქვთ 27-27 ქულა.

### მოკლედ

● კიოლნი. „დოკა" (უიპეშტი) და „ფკ კიოლნი" შეთანხმდნენ თავიანთი მატჩების ვადებზე ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მეოთხედფინალში. 2 თებერვლისთვის დანიშნულია მატჩი კიოლნში, 16 თებერვალს — საპასუხო შეხვედრა ბუდაპეშტში.

● ლისაბონი. პორტუგალიის ნაკრების სელექციონერმა მ. ალფონსომ და მწვრთნელმა ო. გორიამ განაცხადეს, რომ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი თვით ადრე მათი გუნდი ტურნეს ჩაატარებს ჩრდილოეთ ევროპაში. 12 ივნისს პორტუგალიელები მიიღებენ ნორვეგიელებს, შემდეგ კი ითამაშებენ შვეციაში, შოტლანდიაში, ჩრდილოეთ ირლანდიასა ან დანიაში. ინგლისში გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე პორტუგალიელები ლისაბონში შეხვდებიან ავსტრიელებს.

● ბუენოს-აირესი. არგენტინის ფეხბურთის ფედერაცია აწყობს დიდ საერთაშორისო ტურნირს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის ნაკრები, „სანტოსი" (ბრაზილია), „სპარტა" (ჩეხოსლოვაკია) და მასპინძელთა 3 უძლიერესი კლუბი — „ბოკა ხუნიორსი", „ინდეპენდიენტე" და „რივერ პლეიტი".

● სოფია. როგორც ბულგარეთის ნაკრების ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ბულგარელები შეხვდებიან იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის, იტალიის, გდრ-ისა და დანიის გუნდებს. გარდა ამისა, ბულგარელები ერთ თვეს გაატარებენ სამხრეთ ამერიკაში.

### „უნივერსიდად დე ჩილი" — უძლიერესი

„გრეენ გროსის" დამარცხების შემდეგ (6:1) „უნივერსიდად დე ჩილიმ" მოიპოვა ჩილის ჩემპიონობა, თუმცა გათამაშება ჯერ კიდევ გრძელდება. ახალი ჩემპიონი 6 ქულით უსწრებს „უნივერსიდად კატოლიკას" და 9 ქულით III ადგილზე მყოფ „რენჯერსს".

ჩემპიონატში წარუმატებლად გამოდის პოპულარული კლუბი „კოლო-კოლო".




### „ტორნეო სექსტაგონალი"

მეხიკოს „ექვსთა ტურნირის" მატჩი პრაღის „სპარტასა" და მექსიკის „ატლასს" შორის დაძაბული ბრძოლით გამოირჩეოდა. მე-9 წუთზე ჩეხების ცენტრალურმა თავდამსხმელმა კვაშნიაკმა ანგარიში გახსნა, ხოლო მრაზმა მალე მეორე ბურთიც გაიტანა. მასპინძლებს ფარ-ხმალი არ დაუყრიათ და ორივე გოლი გაქვითეს.

ამ მატჩის შემდეგ „ატლასმა" დაამარცხა გდრ-ის ნაკრები — 2:1.

პრაღის „სპარტამ" მოუგო მექსიკის ჩემპიონს „ამერიკას" — 2:0.

## ყველა ყველგან

● კლინგენტალი (გდრ). მოთხილამურეთა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში სამივე დისტანცია მოიგეს სსრ კავშირის ქალთა გუნდის წევრებმა. 10 კილომეტრზე რბენაში გამარჯვების შემდეგ 5-კილომეტრიანი რბოლის ფინიშთანაც პირველი მიიჭრა სვერდლოვსკელი კ. ბოიარსკიხი — (21.07,0), ხოლო გუნდმა (კ. ბოიარსკიხი, გ. პილიუშჩენკო და რ. აჩკინა) ყველაზე ადრე დაამთავრა ესტაფეტა 3×5 კმ — 1:03.37.

● პარიზი, 17 იანვარი. რაპირისტთა ტრადიციულ შეჯიბრებაში „მარტინის პრიზზე" გაიმარჯვა უნგრელმა შანდორ საბომ. ნახევარფინალში მან მოუგო მსოფლიო ჩემპიონ ჟან-კლოდ მანიანს (საფრანგეთი), ფინალში კი — იტალიელ ნიკოლო გრანიერის — 10:9. საბჭოთა სპორტსმენები ამ ტურნირში ამჯერად არ გამოდიოდნენ.

### ახალგაზრდების ტრიუმფი

მოსკოვი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). 17 იანვარი. დამთავრდა დედაქალაქის ზამთრის პირველობა ჩოგბურთში. ქალთა ერთეულების ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ე. პოტანინა და უიმბლდონის ტურნირის შარშანდელი ჩემპიონი გოგონათა შორის ო. მოროზოვა. გაიმარჯვა მოროზოვამ — 6:3, 6:3. ვაჟთა შორის ჩემპიონი გახდა ვიაჩესლავ ეგოროვი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 9-56-14, პასუხისმგებელი მდივანი — 9-56-47, სამდივნო — 3-95 80, სპორტული განყოფილება — 3-95-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 3-95-14, ფოტოლაბორატორია — 3-95-16, მემანქანეთა ბიურო — 3-95-11, გამომშვები — 3-93-81.